აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 18

6 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 1 ივნისის №09[1]/2004 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის პირველი ივნისის №09[1]/2004 დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს:

მე-7 პუნქტი – 7 ივნისიდან 12 ივნისის ჩათვლით საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა წინასწარ რეგისტრაციას ახორციელებს კარდაკარ შემოვლის პრინციპითაც;

მე-8 პუნქტი - საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა წინასწარ რეგისტრაციას კარდაკარ შემოვლის პრინციპით ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის დავალებით შექმნილი ჯგუფების მეშვეობით, რომლებიც შედგება კომისიის არანაკლებ ორი წევრისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი არის რეგისტრატორი და პასუხისმგებელია განაცხადში შეტანილი მონაცემების სისწორესა და სრულყოფაზე;

მე-9 პუნქტი – კომისიის მდივანი წინასწარ ავსებს განაცხადისა და საბაზისო სიის ნომრებს. კომისიის მიერ შექმნილი ჯგუფი 10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე დანომრილი განაცხადის საფუძველზე ახორციელებს ამომრჩევლების წინასწარ რეგისტრაციას კარდაკარ შემოვლის პრინციპით. ჯგუფის საუბნო საარჩევნო კომისიაში დაბრუნების შემდეგ, იმავე დღეს, რეგისტრატორი მის მიერ შევსებული განაცხადის შესაბამისად ავსებს საბაზისო სიას წინასწარ განსაზღვრული ნომრების შესაბამისად.

მე-10 პუნქტი - საარჩევნო კომისიის მიერ კარდაკარ შემოვლის პრინციპით ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული პარტიის/ბლოკის, საინიციატივო ჯგუფის, დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებს;

მუხლი 2. №09[1]/2004 დადგენილების პუნქტების ნუმერაცია განხორციელდეს მიღებული დამატების შესაბამისად;

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე